# პრივატიზების მაცნე

№20

30 აგვისტო-5 სექტემბერი, 1996 წელი

პრივატიზაცია

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი

გამოდის 1993 წლიდან

ფასი 50 თეთრი


## მინისტრს შებოლილი თევზის გამყიდველები ეცოდება



პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭო, შეიძლება ითქვას, ახალი დატვირთვით ამუშავდა. 22 აგვისტოს გამართულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ანალიზი წარმოადგინა და ზედ თავისი მოსაზრებებიც დაურთო.

ერთი შეხედვით, ეს მოსაზრებები მეწარმეობის ხელშემწყობად შეიძლება მივიჩნიოთ (საბაჟო განაკვეთების დიფერენცირება, ფინანსური სანქციების შემსუბუქება), მაგრამ არის მომენტები, რომელიც ლეგალურ ბიზნესს სრული განადგურებით ემუქრება.

პრესაში უკვე გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ფინანსთა მინისტრი მოგების გადასახადის გაზრდას ითხოვს 25%-მდე. მიზეზი სასაცილოა: თურმე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ეს გადასახადი ძალიან მცირეა. ნუ იტყვით პირდაპირ, ამ წლის ბიუჯეტში პენსიები, სტიპენდიები და ხელფასები იაკობიძემ სულ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრა? მაგრამ ამაზე ამჯერად არ ვილაპარაკებთ (ცალკე წერილი მიეძღვნება). ალბათ, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის უმნიშვნელოდ მიაჩნიათ შანსები მაინც აქვს. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის გაზრდის წინააღმდეგ საქართველოს პრეზიდენტიც წავიდა.

ეკონომიკური აზროვნების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს სხვა მოსაზრება.

მინისტრი მოითხოვს გაუქმდეს ფინანსური სანქცია სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის. რომელიც ამჟამად მინიმალური ხელფასის 250-მაგი ოდენობით განისაზღვრება. მისი თქმით, ამ წესს ძირითადად ფიზიკური პირები არღვევენ, რომლებსაც ასეთი გადასახადის გადახდის (დაახლოებით 2000 ლარი) საშუალება არ გააჩნიათ. არგუმენტიც მთამბეჭდავი მოიყვანა:

" სად იშოვის შებოლილი თევზის გამყიდველი ამხელა ფულს?"

არა, შებოლილი თევზი და ცივი ლუდი ცუდი ნამღვილად არ არის (განსაკუთრებით მაშინ თუ ხშირად უწევს ადამიანს "პახმელიაზე" გამოსვლა). ეტყობა პატივცემულს ეკონომისტებმა ვერ აუხსნეს, ასეთი მაღალი სანქცია რატომ არის დაწესებული. ეს მკაცრი ზომა ბიუჯეტის შევსებად არ გამოდგება. იგი არალეგალური ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოსაფხვრელადაა საჭირო.

მახსოვს იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, რუსეთის ცენტრალური ტელევიზია ათასნაირ გადაცემებსა და თამაშებს უჩვენებდა, რათა მოსახლეობისათვის საბაზრო ეკონომიკის ანბანი გაეცნო. ერთ-ერთი გადაცემა სწორედ ყალბისმქნელებს ეხებოდა. ოსტაკას ქუჩაზე ასფალტის მოსასწორებელი მანქანა ("კატოკი") საათების გროვაზე დადიოდა. ავტორმა ახსნა. რომ საათებს აქვს წარწერა" სეიკო", ამ ფირმის წარმომადგენლებმა კი უარყვეს თავისი მონაწილეობა აღნიშნული მოდელის საათების შექმნაში. თავად დამნაშავეს ოთხ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. მსგავსი სიტუაციაა ევროპის მრავალ ქვეყანაში, სადაც სხვისი სავაჭრო ნიშნის მითვისება თითქმის ისევე ისჯება, როგორც ყალბი ფასიანი ქაღალდების შექმნა. ტელევიზორი ხომ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა და ეტყობა ხშირად უნდა იყოს ოჯახში ჩართული. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ზოგიერთი მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებით აზროვნებს.

სამინისტროს წინადადებამ ორიოდე ეპიზოდი კიდევ გამახსენა.

როცა საქართველო "ხელიკომანგანუმომანიით" იყო შეპყრობილი და დასავლეთ საქართველოში ლიანდაგები თითქმის პაერში ეკიდა, პრესის ფურცლებზე არაერთხელ გამოჩნდა ქუთაისის სატრანსპორტო პოლიციის უფროსის შენგელიას ინტერვიუები, სადაც იგი აცხადებდა, რომ მიწიდან წიდის უკანონო ამოღება არ შეწყდება მანამ, სანამ არ გამკაცრდება სანქციებიო. პოლიციას შეეძლო ერთ დაჭერაზე საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის გამანადგურებელი მხოლოდ 250 ათასი კუპონით დაეჯარიმებინა. ეს მაშინ დაახლოებით 10 ცენტი იყო. ერთი კაცი დღეში ათჯერაც რომ დაეჯარიმებია 10-12 დოლარის გაკეთებას მაინც ახერხებდა. აი, შერბილებული სანქციის ნათელი მაგალითი.

და კიდევ.

როცა საევალუტო ფონდსა და ქართველ მეწარმეებს შორის მოხდა ინცი-

(დასასრული მე-2 გვ.)

ევროპის ეკონომიკური სტრუქტურები დადებითად ეხმაურებიან საქართველოში მიმდინარე პრივატიზების პროცესებს. ამასწინათ ეკონომიკური რეფორმების დარგში რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას სახელზე მოვიდა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყანათა IV დეპარტამენტის დირექტორის ბაზილ კავალსკის წერილი, რომელშიც შეფასებულია პრივატიზების მიმდინარეობა და მოცემულია სასარგებლო რჩევები. ამასთან ნათქვამია: "ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პრივატიზაციის საქმეში მიღწეულმა წარმატებამ და გვსურს მივულოცოთ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს პრივატიზაციის პროგრამის სათანადო გაძღოლა".

### პრივატიზების პროცესს დადებითად აფასებენ

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბატონ ავთანდილ სილაგაძის სახელზე გამოგზავნილ წერილში მსოფლიო ბანკის უფროსი ეკონომიკური მრჩეველი მიშელ რაბო წერს: " მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკმა ეს პროგრამა მიიჩნია, როგორც საუკეთესო საშუალება, როგორც საქართველოს მოქალაქეთა პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის, ასევე საშუალო და მსხვილი საწარმოების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაჩქარების თვალსაზრისით. ეს ორივე მიზანი მიღწეულ იქნა.

ჩვენ, მსოფლიო ბანკი, კვლავ ველით თქვენთან თანამშრომლობას და შემდგომ წარმატებებს სამინისტროსადმი დახმარების გაწევის მომდევნო ეტაპზე".

## ჩინოვნიკები ბენზინზე ფასის მომატებას ითხოვენ, მოსალოდნელი შედეგის გააზრებით კი თავს არ იწუხებენ



22 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის შენობაში ჩატარდა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის საკომიტეტო მოსმენა, რომელიც ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვას მიეძღვნა. სხდომაზე დამსწრე მთელი რიგი დეპარტამენტების თავმჯდომარეების (...) ხოვნები ძირითადად კანონპროექტში მათზე გამოყოფილი თანხების უკმარისობას შეეხებოდა.

ტრადიციულად, პირველი სიტყვით გამოვიდა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ცქიტიშვილი. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება საგადასახადო სისტემას უნდა დაეთმოს. აუცილებელია მოხდეს ამ საკითხში ლეგალური გარკვევა. დღესდღეობით ფინანსთა სამინისტრო მოგებიდან გადასახადის 25%-მდე გაზრდას მოითხოვს, რაც მეწარმეთა (და არა მხოლოდ მეწარმეთა) აშკარა უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. ბატონმა ზურაბმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად გამოყოფილია სახსრები ისეთი ფაქტორის აღმოსაფხვრელად, როგორიცაა საქართველოში პროდუქციის უკანონოდ შემოტანა. სულ მალე მოეწერება ხელი ბრძანებულებას ლიცენზიის შესახებ, რაც ამ საკითხის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს.

შემდგომ კომიტეტის თავმჯდომარემ მოწვეული დეპარტამენტების ხელმძღვანელობის შენიშვნები განიხილა. საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა თამაზ ჯანელიძემ აღნიშნა, რომ გეოლოგიური დეპარტამენტი ძირითადად პროგრამულ მართვაზე არის გადასული, მას აქვს საკვლევ-საძიებო სამუშაოების 12 სახელმწიფო პროგრამა, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფაზეც საკმაოდ მცირე თანხებია გამოყოფილი. მიმდინარე წლის ჩაუთვლელად, 1997 წელს ამ პროგრამების განხორციელებაზე ბიუჯეტში ჩასმულია 3,6 მლნ ლარი, ხოლო საჭირო თანხა

(დასასრული მე-2 გვ.)

## ნომერშია:


ქვეყნის ფასაძღვენი გვ. 2

იმიჯს გაფრთხილება უნდა გვ. 2

ქონების მართვის სამინისტროში გვ. 3-4-5

აჭარა-იმერეთი ისევ ლიდერობენ... ჩამორჩენილებს გვ. 6

მსოფლიო ეკონომიკა გვ. 7

პალიტრა კროსვორდი გვ. 8


ნომერშია:

## ადგილობრივ წარმოებას სიტყვიერი კი არა, საქმიანი მხარდაჭერა სჭირდება

მრეწველობის განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის გადამწყვეტი როლი აკისრია. უტოპია იქნება იმაზე ფიქრიც კი, რომ მოვახერხებთ რეფორმების წარმატებით დასრულებას, თუ ხელი არ შევუწყვეთ ეროვნული მრეწველობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგს აქვს მძლავრი სამრეწველო პოტენციალი, რომელიც წარსულში თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული რესპუბლიკაში შემოტანილ ნედლეულზე, დამხმარე მასალებზე, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე.

წელიწადში დარგი მოიხმარდა 1600 ტონა აბრეშუმის პარკს. 18 ათ. ტონა ბამბის ბოჭკოს. 11,5 ათ. ტონა ნატურალურ მატყლს. 11 ათ, ტონა სინთეზურ და ხელოვნურ ძაფებს. 7.5 ათ. ტონა სინთეზურ და ხელოვნურ ბოჭკოს. 20 ათ, ტონა ბამბის ნართს. 10,5 ათ. ტონა მატყლის ნართს. ... ათ. ტონა მოცულობით ნართს. 50 მლნ კვ. მ სხვადასხვა ქსოვილს. 1350 ათ. ცალ ტყავნედლეულს, აღსანიშნავია, რომ 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ნედლეული ყოველწლიურად შემოდიოდა კაპიტალისტური ქვეყნებიდან. რა თქმა უნდა, მაშინ ამის ღიად აფიშირება არ ხდებოდა.

საკუთარი ნედლეული-აბრეშუმის ხმელი პარკი რესპუბლიკაში მზადდებოდა 500-600 ტონის, უხეში მატყლი 2,5-3.0 ათ. ტონის და ტყავნედლეული 550 ათ. ცალის ოდენობით, მთლიანად შემოტანილი ნედლეული შეადგენდა დარგისათვის საჭირო ნედლეულის 96%-ს, ხოლო ამ ნედლეულიდან დამზადებული მზა ნაწარმის 50%-ზე მეტი იგზავნებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სავაჭრო ქსელში.1990 წლიდან კატასტროფულად დაეცა პროდუქციის წარმოების დონე. ამან ინფლაციის, პროდუქციაზე ხარჯების და მისი ფასების მკვეთრი გადიდების ფონზე გამოიწვია საწარმოთა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, საბრუნავი სახსრების მწვავე უკმარისობა, საწარმოთა ნაწილმა კვლავწარმოებისათვის საჭირო სახსრების უქონლობის გამო შეწყვიტა მუშაობა.

ამჟამად დარგი ფუნქციონირებს თავისი შესაძლებლობების მინიმალური დატვირთვით. იმის გამო, რომ მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია განეკუთვნება სახალხო მოხმარების საქონელს და მისი რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილ მდგომარეობაზე და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობაზე, ამ ფაქტორმა ნეგატიური გავლენა იქონია პროდუქციის წარმოებაზე.

უკვე არავისთვის არაა დასამალი, რომ საქართველოს ბაზარი, მისი დაუცველობის გამო, დღეს მთლიანად აღმოჩნდა ირანისა და თურქეთის ფართო მოხმარების საქონლის გასაღების არეალში. როცა საზღვარგარეთ 4 დოლარად ნაყიდი მაისური "ვაგზლის ბაზრობაზე" 5 დოლარად იყიდება, ბუნებრივია, კონკურენციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, ყველაფერი იოლად ხდება. ეს ოთხდოლარიანი მაისურები საბაჟოზე საქმის "გაიმასქნების" შემდეგ დაუბეგრავად შემოდის საქართველოში. მართალია მოგება დიდი არ არის (მებაჟის წილის მიცემის და ბაზრობაზე ადგილის მოვნის შემდეგ მოგება ერთ ერთეულზე 60-70 თეთრია), მაგრამ როცა ათასობით ერთეული ჩამოაქვს, მაშინ მოგებაც შთამბეჭდავია. გამყიდველიც კმაყოფილია, მყიდველიც, მებაჟეც და პოლიციელიც. ზარალდება მხოლოდ ადგილობრივი წარმოება და შესაბამისად ბიუჯეტი.აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დარგის საწარმოებში უკვე რამდენიმე წელია არ ხდება ტექნოლოგიური დანადგარების განახლება. ძირითადი ფონდები განიცდიან ფიზიკურ და მორალურ ცვეთას. აღარ გადამუშავდება ის ნაირსახეობა, რასაც ადრე ცენტრალიზებული წესით ღებულობდა დარგი. ამან გამოიწვია ასორტიმენტის შეზღუდვა, რამაც მაღალ ფასებთან ერთად არაკონკურენტუნარიანი გახადა პროდუქცია.

უმრუნველ ცხოვრებას ნაჩვევი დარ-

(დასასრული მე-2 გვ.)

# ქვეყნის დასაყრდენი

*მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველო ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ სტრუქტურულ გარდაქმნებს ზოგჯერ, საგრძნობლად ჩამორჩება ჩვენი აზროვნება, ძნელად იცვლება ძველი წარმოდგენები. სისტემიდან სისტემაზე გადასვლისას, ზოგჯერ ახალი დილემის წინაშე ვდგებით და საბაზრო ეკონომიკის მკაცრ მოთხოვნებს მტკივნეულად განვიცდით. ამ მხრივ განსაკუთრებით "მწვავე" ურთიერთობა იგრძნობა საგადასახადო სამსახურსა და მწარმოებელს შორის, ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციის უფროსს ბატონ ანდრო კოტეტიშვილს და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.*

– დღეს ბევრი საყვედური ისმის საგადასახადო სამსახურის მუშაკების მიმართ, რა არის ამის მიზეზი?

– მართალი ბრძანდებით. დღეს ბევრს ლაპარაკობენ შემმოწმებელ და მაკონტროლებელ დაწესებულებებზე, განსაკუთრებით საგადასახადო ინსპექციაზე, როგორც ერთ-ერთ "დაუნდობელ" ორგანიზაციაზე, რომელიც ლამის ყელში სწვდება დამწყებ ბიზნესმენებს, მეწარმეებსა და საქმოსნებს, საშუალებას არ აძლევს მათ, რომ ფართოდ გაშალონ საქმიანობა. მაგრამ ასეა სინამდვილეში? თუ დავუკვირდებით, საქმის არსს ჩავწვდებით, სრულიად სხვა სურათი წარმოგვიდგება.

საქმე ის არის, რომ პრივატიზაციის შედეგად წარმოქმნილი ბევრი საწარმო, ნებით თუ უნებლიეთ არღვევს სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადის ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანის წესებს. დარღვევა ვალად ედება, ამ ვალს გარკვეული დროის შემდეგ პროცენტები ერიცხება და საკმაოდ დიდ თანხას აღწევს. ნებითი, რომ ვთქვით, იგულისხმება, – ზოგიერთი პიროვნება პროდუქციის გაიაფებისა და ამ გზით შემოსავლის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით სახელმწიფოს უმალავს გადასახადს და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასაც ზუსტად არ უჩვენებს, მაგრამ "შუბი ხალთაში" არ დაიმალება და საბოლოოდ, დიდი ჯარიმის გადახდა უხდება. რაც შეეხება უნებლიე "შეცოდებას" ეს კანონის უცოდინარობით ხდება და ხშირ შემთხვევაში საგადასახადო ინსპექცია, იქნებ წესსაც კი "არღვევს", დაითმობაზე მიდის...

– თუ კანონები არ იცის მწარმოებელმა, ან ადრინდელი კანონი შეიცვალა, და უნებლიეთ დამრღვევის როლში აღმოჩნდა, მაშინ რა მოელის მას?

– ყოველი საქმიანი პირი უნდა იცნობდეს კანონებსა და წესებს. თუ პრესას ვერ ადევნებს თვალს, რესპუბლიკის საგადასახადრო ინსპექციაში არსებობს საინფორმაციო სამსახური, სადაც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევა შეიძლება, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეიძლება რეგიონალურ და რაიონის ანალოგიურ ორგანიზაციებშიც. როგორც ითქვა, ვინც არ იცის, იმას ვასწავლით. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება ესეც არის.

– სად მიდის თქვენს მიერ ამოღებული თანხები?

– ჩვენი საქმიანობის მიმართულება და მიზანი ბიუჯეტის შევსება და გარდა ამისა ახალი საქმიანი წრეების დახმარებაცაა, რათა მათ სწორად წარმოიდგინონ თავიანთი წვლილი ქვეყნის კეთილდღეობაში, ყოველი ლარი და თეთრი, რომელიც გადასახადის სახით შედის ბიუჯეტში, ისევ და ისევ ხალხს ხმარდება. ხმარდება განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, სხვა არამწარმოებლურ, მაგრამ აუცილებელ დარგებს. ასე რომ, ბიუჯეტში შესული სახსრები ისევ ხალხს უბრუნდება, ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება. საგადასახადო სამსახური თანდათან იხვეწება. დადგება დრო, როცა არავის დასჭირდება "შეხსენება" რომ ქვეყანამ თავისი წილი უნდა მიიღოს ყველა მწარმოებლისაგან, რადგანაც შესატანის დროული გადახდა თითოეულის პრესტიჟის საქმე გახდება. ესეც რომ არ იყოს, თუ სახელმწიფოსთან ვალს თავად გაასწორებ ვერავითარი შემმოწმებელი ვერაფერს დაგავალებს. მანამდე კი ჯერ ისევ დიდი მუშაობა გველის, როგორც ჩვენ შემმოწმებლებს, ისე მწარმოებლებს – ბიზნესმენებს, ყველას, ვინც კერძო საქმიანობას ეწევა.

ესაუბრა
ბელა ქობალია.

# მინისტრს [illegible] გამყიდველები ელოდება

(დასასრული)

დენტი, მეწარმეთა ერთი ჯგუფი თავისი მოსაზრებების გასაზიარებლად სახელმწიფო მინისტრ ნიკო ლეკიშვილს შეხვდა, საგადასახადო პრობლემებთან ერთად პროდუქციის ფალსიფიკაციის საკითხებზეც ისაუბრეს.

ერთ-ერთმა გამომსვლელმა (ალკოჰოლიანი სასმელების ქარხნის დირექტორმა) აღნიშნა, რომ ქალაქში მისი სავაჭრო ნიშნით არსებული პროდუქციის მხოლოდ 15 პროცენტი მზადდება მის ქარხანაში. დანარჩენი კუსტარულად, სარდაფებსა და აბაზანებში ისხმება. დახმარება ბატონ ნიკოს სთხოვა, რომელსაც ეტყობა ხშირად აწუხებენ ამ საკითხზე. სახელმწიფო მინისტრმა ამ პრობლემას №1 უწოდა და შესაბამისი ზომების მიღებაც აღუთქვა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამომსვლელს ორიგინალური გამოსავალი შეეთავაზე: გაყიდეთ მეწარმეებმა მანქანები, შეაგროვეთ ფული და მოიძიეთ შესაბამისი სამსახური, რომელიც ფალსიფიკატორების საქმიანობას აღკვეთს-მეთქი. არ ვიცი რამდენად მოეწონა მას ეს აზრი, მაგრამ იქვე მყოფმა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა რჩევა უპერსპექტივოდ ცნო.

– ფალსიფიკატორები ამ მეწარმეებზე უფრო დიდ ფულს აკეთებენ. ძალიან ძლიერი ლობი აქვთ სხვადასხვა ინსტანციებში და თუ დასჭირდათ თავიანთ მფარველებს მანქანებს კი არა თვითმფრინავებსაც უყიდიანო.

მაშინ გულიანად გამეცინა. ვიფიქრე, როგორ შეიძლება სახელმწიფო მოხელეებმა დაუშვან ის, რომ სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე ვინმე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს.

მაშინ მართლა გამეცინა.

ახლა?..

ახლა ცაში თვითმფრინავების გამოჩენას ველოდები.

გია ბენდ[illegible]

# საქართველოში გოეთეს ინსტიტუტი გაიხსნება

26 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში ჩატარდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის დაცვისა და საგარეო ურთიერთობების ქვეკომიტეტის წარმომადგენელთა პრესკონფერენცია. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ვან ბელგ ზეიდმა პრესისა და ტელევიზიის თანამშრომლებს აცნობა, მათი ჩამოსვლის მიზეზი ქართული კულტურის უფრო ღრმად შესწავლა და საქართველოსადმი პატივისცემის გამოხატვა იყო. გერმანელი სტუმრები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ასევე ისაუბრეს კათალიკოს-პატრიარქთან, დაათვალიერეს სახელმწიფო უნივერსიტეტი და ეროვნული ბიბლიოთეკა.

ბატონმა ზეიდმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ საქართველომ გერმანიას გადასცა საკონსულო შენობა, სადაც უახლოეს მომავალში გოეთეს ინსტიტუტი დაიდებს ბინას და იგი კულტურული დონის ამაღლებას მოემსახურება. სტუმრებმა აგრეთვე მადლობა გადაუხადეს ქართულ მხარეს მათთვის გერმანული წიგნების გადაცემისათვის. უნდა აღინიშნოს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა გერმანიის ევ. ელისტურ ეკლესიას შენობა გამოუყო.

საბოლოოდ, გერმანელმა სტუმრებმა იმედი გამოთქვეს ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე მეცნიერების და კულტურის განვითარების დარგში.

ირაკლი მახარაძე.

# იმიჯს გაფრთხილება უნდა

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ გარდამავალ პერიოდში ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველი ფენა ზარალდება. ამიტომ ხელისუფლების უპირველესი ამოცანა მათი უფლებების დაცვა და მდგომარეობის შემსუბუქებაა. პოპულისტებს საქართველოში რა გამოლევს და ამიტომ ზოგიერთ ფსევდოპოლიტიკოსს ჩვეულებრივ ამბად ექცა საჯაროდ გამოსვლა და მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე საუბარი. სოციალური სფერო ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია ისეთი განვითარებული სახელმწიფოსათვის, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია. ამიტომ გასაკვირი არაა თუ ეს პრობლემა ჩვენთანაც არსებობს (რასაკვირველია უფრო რთულ ფორმებში).

20 აგვისტოს გაიმართა ახალდაფუძნებული საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის გამგეობის პრველი სხდომა, რომელსაც ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე თემურ ბასილია უძღვებოდა. იგი ამავდროულად ფონდის გამგეობის თავმჯდომარეცაა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული ფონდი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა. მისი მიზანია საქართველოში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პრეზიდენტის თანაშემწემ განაცხადა, რომ ეკონომიკური რეფორმის ფონზე უმნიშვნელოვანესი საკითხია სოციალური პრობლემების მოგვარება. აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს და ფონდის შექმნა საქართველოს პრეზიდენტის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ფონდი ქართულ მხარესთან ერთად მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით დააფუძნა პროექტის დონორმა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და გრანტის მმართველმა ფონდმა – "გადავარჩინოთ ბავშვების" საქართველოს რეგიონალურმა განყოფილებამ. სოციალური ინვესტიციების პროექტის განხორციელების ვადა თავდაპირველად 15 თვეს მოიცავს და გავრცელდება საქართველოს ორ რეგიონზე – თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე.

შეხვედრაზე აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელმა პიელა ფინიმ გამოთქვა მოსაზრება საინფორმაციო საშუალებებით ფონდის საქმიანობის გაშუქების თაობაზე.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ირაკლი კოპლატაძე, რომელსაც როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი აღმასრულებელ სტრუქტურებში მუშაობის გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ...

არის კიდევ ერთი "მაგრამ".

ძალიან დიდია საშიშროება იმისა, რომ ფონდს მრავალი მიეტმასნება და მის სახელს ამოფარებული მოინდომებს თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის გამოცდილება ჩვენ მართლაც რომ გვაქვს. თბილისის მაღაზიები გავსებულია ჰუმანიტარული დახმარებით და ბავშვებისათვის გამოგზავნილი პროდუქტი და წამალი რეალიზაციის შემდეგ ზოგიერთების ბინათმშენებლობას ხმარდება.

სამწუხარო იქნება, თუ აღნიშნულ ფონდსაც იგივე დაემართა. მოგეხსენებათ, წვეთი კუპრი მთელ კასრ თაფლს აფუჭებს.

გამგეობასაც და აღმასრულებელ დირექტორსაც ამ მხრივ ალბათ დიდი მუშაობის გაწევა მოუწევთ ფონდის იმიჯის შენარჩუნებისათვის.

გიორგი ბოჯორიშვილი

# ადგილობრივ წარმოებას სიტყვიერი კი არა, საქმიანი მხარდაჭერა სჭირდება

(დასასრული)

გის ფუნქციონირებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა საკრედიტო რესურსების შეზღუდვამ და მისმა შედარებით მაღალმა განაკვეთებმა.

დარგში მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკები მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ გამოყოს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი ან სახელმწიფოსათვის გამოყოფილი უცხოური კრედიტები ნაწილობრივ მოხმარდეს დარგის პრიორიტეტულ საწარმოების ამოქმედებას, თუმცა, ასეთი მოთხოვნა საქართველოში ყველას აქვს, და ამდენად ნაკლებდასაჯერებელია, ხელისუფლება ასეთ პირობებზე დათანხმდეს.

უფრო რეალური იქნება მთავრობამ სხვაგვარი დახმარება გაუწიოს ქართულ წარმოებას, კერძოდ, მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმებისას, ასეთი პრაქტიკა მსოფლიოში არსებობს, თვით აშშ-ს ხელისუფლებაც კი მიმართავს ასეთ ზომებს. თანაც ისეთი ფორმით, რომ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებმა პროტესტიც კი გამოთქვეს. ეს საკითხი ჩვენთვისაც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი.

არ ვამბობ, რომ სახელმწიფო მცირე საწარმოთა საქმეებით დაინტერესდეს, მაგრამ არსებობს მაუდ-კამვოლის, მბინატი, კონიაკის, შამპანურის ქარხანა, გიგანტები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული დახმარების გარეშე (არ იგულისხმება ფინანსური) ფაქტიურად ვერ გავლენ საზღვარგარეთის ბაზარზე, რაც მათი წარმოების თანდათანობით კვდომას გამოიწვევს.

გია ბენდ[illegible]

# ჩინოვნიკები ბენზინზე ფასის მომატებას ითხოვენ, მოსალოდნელი შედეგის გააზრებით კი თავს არ იწუხებენ

(დასასრული)

აღნიშნულს გაცილებით აღემატება. მხოლოდ ფერადი მეტალურგიისა და ოქროს დარგის განვითარების საკითხს ესაჭიროება 4,6 მლნ ლარი, ქვანახშირის (ტყიბულში) ამოღებაზე საჭიროა 5,6 მლნ ლარი. ხოლო თერმომინერალური წყლების კვლევაძიებაზე, მარტო იმისათვის, რომ თბილისში 4000 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი გაიბურღოს აუცილებელია 3,6 მლნ ლარი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ჭაბურღილს შეუძლია 70 გრადუსიანი ცხელი წყლით დააკმაყოფილოს თბილისის მოსახლეობა.

საკომიტეტო მოსმენის მსვლელობა განაგრძო საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბორის სალარიძემ, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ღერეფნის მნიშვნელობა და ამავე დროს ჩვენი გზების ავკარგიანობაზე გაამახვილა ყურადღება. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო საგზაო ფონდის შექმნამ. საგზაო დეპარტამენტისა და ამ ფონდის ერთობლივი ძალისხმევით ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა. უკანასკნელი 7 თვის მონაცემებით ბიუჯეტში სულ 9 მლნ ლარია შესული, აქედან სატრანზიტო გადასახადის მიხედვით 3,9 მლნ ლარი. მთლიანობაში საგზაო დეპარტამენტს აქვს საერთო სარგებლობაზე, საწვავსაცხები მასალების შესასყიდი, საზღვრის გადაკვეთაზე, კომუნიკაციური კაბელებისა და რეკლამებზე გადასახადი. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო ფაქტიც. როგორც ბატონმა ბორისმა აღნიშნა, აუცილებელია ქალაქში ბენზინის ღირებულების გაზრდა(!) 55 თეთრამდე, 1 ლიტრზე 7 თეთრით გაძვირება საგზაო დეპარტამენტს საკმაო შოვებას მისცემს, რაც "სურვილისამებრ" გზების შეკეთებას მოხმარდება. (არავინ კითხულობს, თუ როგორ იმოქმედებს ბენზინის ფასის მომატება ავტომანქანის მფლობელებზე, თუმცადა დეპარტამენტის აზრით 55 თეთრი არცთუ ისე საგანგაშო ციფრია).

ზემოთქმულმა ზოგიერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ შორის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ბატონმა რამაზ გიორგაძემ გამოთქვა აზრი, რომ ამ გადასახადის გაზრდით საქართველო დაკარგავს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას და ჩვენს გზებზე გავლის სურვილი აღარავის ექნება. ეს კი ბუნებრივია ბიუჯეტის ამ ახლადაღმოცენებული შემოსავლის წყაროს გააუქმებს. აღსანიშნავია, რომ საგზაო ფონდის მოთხოვნას ფინანსთა სამინისტროც უჭერს მხარს (საინტერესოა, რომ ფინანსთა სამინისტრო ნებისმიერი გადასახადის გადიდებას უჭერს მხარს ისე, რომ მოსალოდნელი შედეგების გააზრება არც კი ხდება).

შემდეგ სიტყვა ნავთობპროდუქტების დარგის ხელმძღვანელს მიეცა, რომელმაც ძირითადად აქცენტი საქართველოში შემოტანილი ნავთობის რაოდენობაზე და გადასახადებზე გააკეთა. დღესდღეობით შემოსული საწვავი 15%-ით იბეგრება და სულ შემოვიდა 340,000 ტონა ნავთობპროდუქტი. რაც შეეხება მრეწველობის დეპარტამენტს, მათ შესრულებული სამუშაოს შედეგად განზრახული აქვთ ბიუჯეტში 6,5 მლნ ლარის შეტანა.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, საქართველოში გზების შეკეთებას საკმაო თანხები სჭირდება, მაგრამ ისეთმა სტრუქტურამ, როგორიც ფინანსთა სამინისტროა, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ბენზინის ფასის მომატება არა მარტო მოსახლეობის უკმაყოფილებას, არამედ გარკვეულ წილად ფულის ინფლაციასაც გამოიწვევს.

თუმცა ეს რა მოსატანია, როცა ტელევიზიით გამოსვლისას რიხიანად დაიძახებ: ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილს ამდენი და ამდენი პროცენტით გადააჭარბაო.

მერე რა, რომ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანების რიცხვიც გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება.

ლათო ჯყონია.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# დამტკიცდა შეფასების აქტები

წინა ნომერში თქვენ გაეცანით საწარმოთა ღირებულების შეფასების აქტებს, გთავაზობთ დასასრულს.

დანართი 5ა

დაუდგმელი დანადგარების ღირებულების შეფასების

აქტი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს, (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| ინვ. № | დაუდგმელი მოწყობილობა | ტიპი, მოდელი, მარკა | საწყისი (საბალანსო) ღირებულება 1993 წ. 1 აპრილამდე ათ. მან. | გადაფასების ინდექსები (კოეფიციენტები) | | | აფასებული ღირებულება | | ნარჩენი ღირებ. აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფინ. სამინისტ. 1993 წ. 26 თებერვლის № 18-3/7 წერილის შესაბამისად | 1993 წ. 23 დეკემბრის დადგენილებით № 933 | 1995 წ. 16 მაისის დადგენილებით № 263 | გრ.4XგრX 5გრX6 გრX7 ათ. კუპ. | გრ/9 1000000 ლარებში | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | სულ | | | | | | | | |

შენიშვნა: 10 გრ. ნარჩენი ღირებულება დაფიქსირდეს 1995 წლის 1 ოქტომბრის კურსით 1 დოლარი=1 ლარი 30 თეთრის ოდენობით, ხოლო 1995 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შეძენილ კაპიტალურ დაბანდებათა ღირებულება აშშ დოლარში გადაყვანილ იქნას მათი შეძენის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის კურსით აშშ დოლართან.

საწარმოს ხელმძღვანელი — მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

თარიღი
1
2
3

დანართი 5ბ

დასადგმელი მოწყობილობის (საბ.ღ. № 7 ანგარ.) ღირებულების შეფასების

აქტი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს, (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| ინვ. № | დასადგმელი მოწყობილობა | ტიპი, მოდელი, მარკა | საწყისი (საბალანსო) ღირებულება 1992 წ. 1 ოქტომბრამდე ათ. მან. | გადაფასების ინდექსები (კოეფიციენტები) | | | აფასებული ღირებულება | | ნარჩენი ღირებ. აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფინ. სამინისტ. 1992 წ. 14 სექტემბრის № 926 დადგენილებით | 1993 წ. 23 დეკემბრის დადგენილებით № 933 | 1995 წ. 16 მაისის დადგენილებით № 263 | გრ.4XგრX 5გრX6 გრX7 ათ. კუპ. | გრ/9 1000000 ლარებში | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | სულ | | | | | | | | |

შენიშვნა: 10 გრ. ნარჩენი ღირებულება დაფიქსირდეს 1995 წლის 1 ოქტომბრის კურსით 1 დოლარი=1 ლარი 30 თეთრის ოდენობით, ხოლო 1995 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შეძენილ ძირითად საშუალებათა ღირებულება აშშ დოლარებში გადაყვანილ იქნას მათი შეძენის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის კურსით აშშ დოლართან.

საწარმოს ხელმძღვანელი — მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

თარიღი
1
2
3

# კ ო ნ კ უ რ ს ი

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ტოპოგეოდეზიური საწარმოს გარდაბნის რაიონში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის №2 კორპუსის და დამხმარე ნაგებობების იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

მეიჯარე – გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო.

საიჯარო ქირის საწყისი რაოდენობა – 1874 აშშ დოლარი წელიწადში.

მისამართი: გარდაბნის რაიონი.

საკონკურსო პირობები: 1. ელექტროენერგიის ავტონომიური წყაროს მოწყობა, 2, არსებული წყალსადენის ქსელის შეკეთება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, საქვაბის კაპიტალური შეკეთება და გათბობის სისტემის ექსპლოატაცია.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობას და ილებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება.

2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი.

3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილ მინიმალური ხელფასის ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა №001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერის დადასტურების შემდეგ.

განცხადების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

განცხადებების მიღება წარმოებს ყოველ დღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. ოთახი 307.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-27-94, 29-00-06.

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

# სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

დანართი 6

გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებათა არსებობისა და შეფასების

## ა ქ ტ ი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| დასახელება | ღირებულება ბალანსის აქტივის მიხედვით | |
|---|---|---|
| | ლარი | აშშ დ. |
| 1 | 2 | 3 |
| გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი სულ:<br>მათ შორის<br>ცნობისათვის | | |
| | თანხა უცხოური ვალუტით | |
| | ლარი | აშშ დ. |
| 1 | 2 | 3 |
| გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი შეტანილი უცხოური ვალუტის სახით<br>მათ შორის: | | |

შენიშვნა: გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი გადაიყვანება აშშ დოლარში ქონების ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით ლარის აშშ დოლართან

საწარმოს ხელმძღვანელი მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

თარიღი
1
2
3

დანართი 7

მარაგების და დანახარჯების, ფულადი სახსრების და სხვა ფინანსური აქტივების არსებული მდგომარეობის და შეფასების

## ა ქ ტ ი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| № | დასახელება | ღირებულება ლარი | ღირებულება აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | მარაგები და დანახარჯები (მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნების ცვეთის გამოკლებით) სულ:<br>მათ შორის:<br>– საწარმოო მარაგები<br>– დაუმთავრებელი წარმოება<br>– მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები<br>– მზა პროდუქცია<br>– საქონელი:<br>მომავალი პერიოდის ხარჯები<br>– ნასყიდობის ფასი | | |
| 2 | ფულადი სახსრები, ანგარიშები და სხვა ფინანსური აქტივები სულ:<br>მათ შორის<br>– საქონლის სამუშაოებისა და მომსახურებისათვის<br>– ბიუჯეტთან<br>– ანგარიშსწორების ანგარიში<br>– სხვადასხვა დებიტორები<br>– ფონდებით და მიზნობრივი დაფინანსების სახსრებით | | |
| * | ზარალი | | |

**შენიშვნა**: 4 გრ პრივატიზაციის მომენტისათვის საბრუნავი საშუალებები წინასწარ მოყვანილი საბაზრო ფასების შესაბამისობაში გადაიყვანება აშშ დოლარში ქონების ღირებულების განსაზღვრის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით ლარის აშშ დოლართან.

საწარმოს ხელმძღვანელი მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

თარიღი
1
2
3

დანართი 8

უცხოური ვალუტით თანხების ინვენტარიზაციის

## ა ქ ტ ი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| № | ვალუტის დასახელება, ბანკები და ანგარიშები, რომელზეც ვალუტა იმყოფება | თანხა უცხოური ვალუტით ლარი | შეფასება ლარი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

საწარმოს ხელმძღვანელი მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

თარიღი
1
2
3

დანართი 9

საწარმოს ღირებულების შეფასების

## ა ქ ტ ი

199 წლის ———— მდგომარეობით

-----------------------------------------------------------

(საწარმოს (ობიექტის) ორგანიზაციის დასახელება)

| № | დასახელება | თანხა ლარი | თანხა აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1.1 | სულ 30%-ის დამატებით<br>ქონების ღირებულება<br>მათ შორის:<br>– ძირითადი საშუალებების პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობები და სხვა) ნარჩენი ღირებულება– დანართი 1.<br>– ძირითადი საშუალებების პასიური ნაწილის შენობა-ნაგებობები და სხვა) ნარჩენი ღირებულება ტერიტორიული კოეფიციენტის გათვალისწინებით მხოლოდ ვაჭრ. საზკვ. და მომსახ. სფეროს საწ-თვის) დ №1<br>– ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის (მანქანა-დანადგარები და სხვა) ნარჩენი ღირებულება–<br>დანართი 2<br>–ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება<br>სულ – დანართი 3<br>– არამატერიალური აქტივების ღირებულება ცვეთის გათვალისწინებით – დანართი 4<br>– კაპიტალური დაბანდებანი და ავანსები (დაუმთავრებელი<br>კაპ. მშენებლობა, დაუდგმელი დანადგარები და სხვა)– დანართი 5, 5ა, 5ბ<br>– გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი– დანართი 6 | | |

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასასრული)

დანართი 9

| № | დასახელება | თანხა ლარი | თანხა აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | – მარაგები და დანახარჯები (მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთის გამოკლებით)– დანართი 7<br>– ფულადი სახსრები, ანგარიშები და სხვა ფინანსური აქტივები სულ – დანართი 7<br>– ზარალი დანართი 7<br>– სახსრები სავალუტო ანგარიშზე – დანართი 8. | | |
| 12 | ბალანსის პასივების მუხლების ჯამი, რომელიც ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება საწარმოს საწყისი ფასის განსაზღვრისას – სულ<br>მათ შორის<br>– სპეციალური ფონდები და მიზნობრივი ფინანსირება ეკონომიკური სტიმულირების საშუალებათა ფონდების ნაწილში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშაკების მიერ საწარმოს პრივატიზებისათვის<br>– კრედიტები და სასესხო საშუალებები<br>– ანგარიშები კრედიტორებთან<br>– ბალანსის სხვა პასივები სასესხო და დროებით მოზიდული საშუალებების ნაწილში | | |
| 13 | – სხვა თანხები, რომლებიც ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება საწარმოს საწყისი ფასის განსაზღვრისას<br>სულ<br>მათ შორის:<br>– ქონების ღირებულება, რომელთათვის მოქმედი კანონმდებლობით მიღებულია პრივატიზების განსაკუთრებული რეჟიმი<br>– სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტთა ღირებულება, რომლებიც სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებაში რჩებიან<br>– სხვა ობიექტთა ღირებულება, რომლებიც სახელმწიფო მუნიციპალურ საკუთრებაში რჩებიან | | |
| 2 | საწარმოს ორი საწყისი ფასი<br>სულ<br>წმინდა შემოსავალი, რომელიც უნდა აუნაზღაუროს საწარმოს შეძენისას მყიდველმა გამყიდველს<br>მათ შორის: | | |
| 2.1 | სავარაუდო წლიური საბალანსო მოგება | | |

დანართი 9

| № | დასახელება | ღირებულება ლარი | ღირებულება აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | მათ შორის<br>– მოგებიდან გადასახადი %<br>– საწარმოს წმინდამოგების ხვედრითი წილი მიმართული მოხმარების მიზნებისაკენ წმინდა მოგების მასაში % | | |
| 3 | სააქციო საზოგადოების საწყისი საწესდებო კაპიტალი სულ: | | |
| 3.1 | ბალანსის პასივების მუხლების ჯამი, რომლებიც ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება სააქციო საზოგადოების საწყისი საწესდებო კაპიტალის განსაზღვრისას სულ<br>მათ შორის<br>რეზერვები შესაძლებელი დანახარჯების და გადასახადების დასაფარავად<br>–კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება<br>– მომავალი პერიოდის შემოსავალი ცნობისათვის | | |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ქონება, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით მიღებულია პრივატიზაციის განსაკუთრებული რეჟიმი სულ<br>მათ შორის<br>ობიექტების ჩამონათვალი | | |
| 2 | სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში რჩებიან – სულ<br>მათ შორის<br>ობიექტების ჩამონათვალი | | |
| 3 | სხვა ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებაში რჩებიან | | |
| 3 | მათ შორის<br>ობიექტების ჩამონათვალი | | |

**შენიშვნა**: საპრივატიზაციო ობიექტების აფასებულ ღირებულებას ემატება ამ ღირებულების 30%, გარდა სააქციო საზოგადოებებისა

საწარმოს ხელმძღვანელი მთავარი ბუღალტერი

საპრივატიზაციო კომისიის წევრები:

1

თარიღი 2

3


# • რეკლამა •

## "რელიგია და კულტურა"

სახელმძღვანელო მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა. მოსწავლეები, ვისაც როგორ შეუძლია, ზაფხულის არდადეგებით ტკბებიან. გამომცემლობა "დედაენამ" კი ახალი სასწავლო წლისათვის უკვე მოუმზადა მათ სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორია რევაზ თვარაძე, რედაქტორი – გია მურღულია. სახელმძღვანელო "რელიგია და კულტურა" მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის უკვე დაბეჭდილია.

გაიყიდება გამომცემლობა "დედაენაში"

შემდეგ მისამართზე:

მიხეილ ზანდუკელის ქ. № 1

(მეტროს სადგურ "რუსთაველის" თავზე).

ტელ: 99-93-07;

98-35-49.


## ს.ს. "მთავარინვესტის" ინვესტიციათა სია 1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

| № | საწარმოთა დასახელება | აქციათა გამოშვების კოდი | საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალში | მისამართი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | ამალთეა | 231-001 | 15.390 | 3,85 | ხოშარაულის 25 |
| 2. | თბილისის ქაღალდის ფაბრიკა | 233-287 | 24.300 | 13.76 | ბ.ხმელნიცკის 44-ა |
| 3. | ფოთის წისქვილქარხანა | 460-340 | 20.040 | 5,0 | ფოთი, დ. აღმაშენებლის 61 |
| 4. | ხირსა | 440-376 | 23.535 | 5,45 | სიღნაღის რ-ნი, სოფ. ხირსა |
| 5. | მუხრანის ღვინო | 350-741 | 5.100 | 8,00 | მცხეთის რ-ნი, სოფ. მუხრანი |
| 6. | სპეცპელითბომინტაჟი | 239-682 | 3.255 | 5,2 | მაზნიაშვილის 4 |
| 7. | პერეთი | 290-060 | 5.980 | 3,9 | ლაგოდეხი, 26 მაისის 33 |
| 8. | მშენებელი-21 | 238-147 | 4.600 | 5,37 | ქინძმარაულის 15 |
| 9. | კედარი | 480-221 | 2.250 | 6,82 | ქუთაისი, გუგუნავას 16 |
| 10. | ლაო | 220-314 | 28.080 | 6,99 | ზუგდიდი, პარიზის კომუნის 50 |
| 11. | ვერძი-94 | 320-296 | 18.225 | 2,71 | მარნეულის რ-ნი, დაბა შულავერი |
| 12. | იორი | 140-707 | 3.510 | 6,09 | საფ. სართიჭალა |
| 13. | ოზურგეთის ეთერზეთები | 370-781 | 1.960 | 1,67 | ოზურგეთი, გრიდოებოვის 18 |
| 14. | თბილრეკლამა | 239-738 | 4.053 | 7,47 | ცაიშის 3 |
| 15. | შრომა | 210-277 | 13.500 | 9.09 | ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ძირულა |
| 16. | ექსტრა | 550-106 | 7.245 | 10.58 | ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ხაბუმე |
| 17. | ლოპოტი | 250-252 | 2.620 | 1.58 | თელავი, ბესიკის 2 |
| 18. | კულტსამეურნეო საქონელი | 234-769 | 11.475 | 10.94 | გულიას 1 |
| 19. | სანაპირო-10 | 236-701 | 15.300 | 10.96 | ქსნის ქ. (სანაპირო) |
| 20. | სპაგეტი-94 | 236-257 | 4.540 | 1,2 | თემქის III მ/რ, ისააკიანის 1 |
| 21. | ჩხოროწყუპესი | 550-806 | 6.820 | 5,6 | ჩხოროწყუ, კოსტავას 3 |
| 22. | ქიზიყი | 440-745 | 30.370 | 5,29 | სიღნაღის რ-ნი, სოფ.წნორი |
| 23. | ქუთბარიტი | 480-517 | 36.450 | 5,06 | ქუთაისი, წერეთლის 170-ა |
| 24. | ბიზნესცენტრი საშენმასალები | 235-784 | 1.444 | 3,52 | ვერეს დაღმართი, 10 |
| 25. | კომფორტი | 237-254 | 3.677 | 3.46 | ვამლიჯვარი |
| | ჯამი | | 225581 | | |

სულ 25 საწარმოდან მიღებულია 295.621 ცალი აქცია, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 620.804 აშშ დოლარი.

## ნდობის მოპოვება-შენარჩუნების ექვსი ხერხი

**ფრენკ ბეტჯერი**

# გუშინ – ხელჩაქნეული კაცი, დღეს – წარმატებული კომერსანტი

როცა ის ის იყო შევუდექი კომერციულ საქმიანობას, ბედმა გამიღიმა და ისეთვი კაცი შემხვდა ხელმძღვანელად, როგორიც კარლ კოლინგსია. ორმოცი წლის განმავლობაში იგი თავისი კომპანიის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტის სახელით სარგებლობდა.

მას ერთი უძვირფასესი თვისება ჰქონდა: უმალვე შეეძლო გარშემომყოფთა ნდობა გამოეწვია. როგორც კი ლაპარაკს დაიწყებდა მაშინვე იგრძნობდით: "აი კაცი, რომელსაც შეიძლება ენდო, ამან ნამდვილად იცის საქმე. ნამდვილად სანდო კაცი ჩანს." ამას პირველივე შეხვედრისას მივხვდი. მაგრამ რითაც მივხვდი, ეს მოგვიანებით გავიგე.

ერთმა პოტენციურმა კლიენტმა პირველი რიცხვის შემდეგ მისვლა მთხოვა. შეიძლებოდა ხელშეკრულება დაედო. მაგრამ მისვლისა მეშინოდა. საერთოდ იმ პერიოდში ისეთი დამფრთხალი ვიყავი, რომ ყველაფრის მიტოვებას ვაპირებდი. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, მისტერ კოლინგსს ვთხოვე წამომყოლოდა. რაკი დაინახა, რა დღეში ვიყავი, დამეთანხმა.

დამეთანხმა, წამომყვა და არაჩვეულებრივად ადვილად დადო ხელშეკრულებაც, მე კი როგორ ვინერვიულე! გონებაში საკომისიო გამოვიანგარიშე. 259 დოლარი გამოდიოდა, არადა ამ სამუშაოსთვის თავის დანებებას ვაპირებდი! მაგრამ რამდენიმე დღეში ცუდი ამბავი მოვიდა. კლიენტის ფიზიკური ნაკლის გამო კონტრაქტი ხელახლა უნდა განგვეხილა.

– მოდით, ნუ ვიტყვით, რომ ეს ხელშეკრულება არასტანდარტულია. – ის ხომ ვერ გაიგებს, თქვენ თუ არ ეტყვით, არა? – ვეხვეწებოდი მე.

– ვერა, ვერ გაიგებს, მაგრამ მე ხომ ვიცი. შენც იცი, – მშვიდად მიპასუხა მისტერ კოლინგსმა.

მან ასე დაიწყო საუბარი:– შემეძლო თქვენთვის მეთქვა, რომ ეს პოლისი სტანდარტულია, და თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებდით რაშია განსხვავება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ პოლისი არასტანდარტულია.

მერე აუხსნა კლიენტს განსხვავება.– მაგრამ, – განაგრძობდა კოლინგსი, – დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონტრაქტი აუცილებელ დაცვას უზრუნველყოფს, სასურველი იქნებოდა, უფრო ყურადღებით გაცნობოდით.

კლიენტს არ უყოყმანია. ისე უპასუხა "თანახმა ვარ", და იქვე გამოუწერა ასანაზღაურებელი ქვითარი მთელი წლისათვის. საუბრის დროს კარლ კოლინგსს რომ ვაკვირდებოდი, მივხვდი, რატომაც სჯეროდათ მისი, რატომ ენდობოდნენ მთელი გულით. იგი იმსახურებდა ნდობას. ნდობა მის თვალებში იკითხებოდა.

"მაგრამ მე ხომ ვიცი" – ეს ფრაზა გამოხატავდა კარლის ჭეშმარიტ ხასიათს. ამ უბრალო სიტყვების სიღრმეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. მიუხედავად მრავალი ბედუკუღმართობისა ძალას მაძლევდა ამ ფილოსოფიის სიბრძნე: არა ის, დაიჯერებს თუ არა მავანი, არამედ ის, შენ თვითონ თუ გჯერა?

ერთი პერიოდი ჯიბით ვატარებდი გაზეთიდან ამონაჭერს, სანამ თითქმის ჩემ განუყოფელ ნაწილად არ იქცა:

"უჭკვიანესი და ყველაზე უკეთესი გამყიდველი ის არის, რომელიც საქმეში სიმართლეს ეძებს, ის პირდაპირ თვალებში უყურებს პოტენციურ კლიენტს და თავისი ცხოვრების ამბავს უყვება. ეს ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენს. და თუ პირველადვე გაყიდვა ვერ შეძლო, ნდობის შლეიფს, ნდობის კვალს მაინც დატოვებს. კლიენტს [illegible] მეორედ ველარ მოატყუებ [illegible]ეანი ან ჭკვიანური საუბრით, თუ ის ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. გარიგებას იგებს არა ის, ვინც უკეთ ლაპარაკობს, არამედ ის, ვინც მხოლოდ... სიმართლეს ლაპარაკობს. აგენტის გამოხედვაში, სიტყვათა წყობაში, რაღაც უმალვე იმსახურებს ნდობას ან... უნდობლობას. აბსოლუტური სიმართლე ყოველთვის უფრო უსაფრთხოცაა და უკეთესიც" (ჯორჯ მეტიუ ადამსი).

მე არ გახლავართ სიცოცხლის ოფიციალური დამრღვევი, მაგრამ ვცდილობ მივსდიო კოდექსს: "კლიენტებთან ურთიერთობაში თანახმა ვარ დავიცვა პროფესიული ეტიკეტის შემდეგი წესი: მე მოვალე ვარ ყველა მდგომარეობაში, რომელშიც იქნება ჩემი კლიენტი, მთელი ჩემი ძალა მოვახმარო, მის განხილვას და გაგებას და გავუწიო ისეთი სამსახური, როგორსაც მსგავს მდგომარეობაში ჩემს თავს გავუწევდი".

გარშემომყოფთა ნდობის მოსაპოვებლად და დასაცავად პირველი წესი გვეუბნება: დაიმსახურეთ ნდობა.

(გაგრძელება)

დასაწყისი იხ. № 17, 18, 19

# აჭარა-იმერეთი ისევ ლიდერობენ... ჩამორჩენილებს

მკითხველი უკვე მიეჩვია იმას, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. მართალია, ჯერ-ჯერობით ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად არ ამაღლებულა, მაგრამ ამის წინაპირობები უკვე არსებობს.1996 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ზრის ტემპმა 105,5 პროცენტი შეადგინა, რაც ნახევარი წლის მაჩვენებელზე 1,5 პროცენტული პუნქტით მეტია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმოების შესამჩნევი ზრდით ხასიათდებიან მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა და სათბობის მრეწველობა. ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, სატყეო, ხის დამამუშავებელი და სხვა.1995 წლის შვიდ თვესთან შედარებით გაცილებით მეტია წარმოებული ნავთობი, ქვანახშირი, ფოლადის მილები, ლითონური ელექტრომანგანუმი, უალკოჰოლო სასმელები, შამპანური. საქართველოს უმეტეს რეგიონებში შეინიშნებოდა წარმოების ზრდა, მაგრამ აჭარაში, იმერეთში, კახეთისა და მცხეთათიანეთში წარმოების ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა.მცირე სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი, ჯერჯერობით ქვეყნის სამრეწველო წარმოების 4%-ს არ აღემატება. მაგრამ, საყურადღებოა 7 თვეში მიღწეული ზრდის მაღალი ტემპი – 192,9%.

აგვისტოს პირველი დეკადის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ნავთობის ნედლეულის მოპოვების მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა. დეკადაში საშუალო დღიურმა მოპოვებამ 50 პროცენტით გადააჭარბა წლის პირველი ნახევრის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო 10 დღეში სულ მოპოვებულ იქნა 4,1 ათასი ტონა ნავთობი, რაც 32 პროცენტით აღემატება წინა დეკადას და 2,3-ჯერ ნახევარი წლის საშუალო დეკადურ მაჩვენებელს.

როგორც ცნობილია, აგვისტოს დასაწყისიდან დამოუკიდებელი ერთეულის სახით ფუნქციონირებდა მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტი, რომელიც პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით გამოეყო მრეწველობის დეპერტამენტს. თვის პირველ დეკადაში მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის საწარმოების მიერ სულ წარმოებული იქნა 200 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია.

აგვისტოს პირველ ათ დღეში მნიშვნელოვნადაა შემცირებული წარმოების მოცულობა მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში. დეპარტამენტში შემავალმა სამრეწველო საწარმოებმა ამ პერიოდში სულ აწარმოეს 645 ათასი ლარის პროდუქცია, რაც 2,5-ჯერ ნაკლებია წინა დეკადის მაჩვენებელთან. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ საანგარიშო პერიოდში გაჩერებული იყო რუსთავის სს "ქიმკომბინატი". ასევე საწვავისა და ნედლეულის უქონლობის გამო არ ფუნქციონირებდა სს "თბილქიმფარმი"ეს, რაც შეეხებოდა რესპუბლიკურ მაჩვენებლებს, საინტერესოა, ალბათ რა ხდება ჩვენს დედაქალაქში.თბილისში პირველ დეკადაში სამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებულია 3.3 მლნ ლარის პროდუქცია, რაც 25%-ით ნაკლებია განვლილი 7 თვის საშუალო დეკადურ მაჩვენებელზე.

როგორც ვხედავთ, აქ სიტუაცია უფრო გართულებულია, თუმცა სპეციალისტების ვარაუდით აგვისტოს ბოლო დეკადა და სექტემბრის დასაწყისი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნება. სახელმწიფო კომპანია "საქენერგოს" ცნობით 7 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის გამომუშავებამ შეადგინა 6.1 მლრდ კვტ, სთ. რამდენადმე გაუმჯობესებულ იქნა ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებლები. 15 აგვისტოსათვის წყლის მარაგი წყალსაცავებში შეადგენს 715,4 მლნ კვტ.სთ ეკვივალენტს, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის წყლის მარაგზე 20 მლნ კვტსთ -ით ნაკლებია. სეზონურ ელსადგურებზე წყლის შემოდინება მცირდება. გასულ კვირას საშუალო გამომუშავებამ 5,8 მლნ. კვტსთ შეადგინა. ენერგოსისტემის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება 18 მლნ. კვტსთ-ს შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობას ალბათ არაფერი აშინებს ისე, როგორც ზამთრის მოახლოება. ამდენად საინტერესო იქნება რა გველის მომავალში. 1996 წლის შემოდგომა ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი მოხმარება შეადგენს 7 მლრდ კვტ. სთ-ს, ელექტროენერგიის ქვეყნის გარედან უმნიშვნელო რაოდენობით (0,27 მლრდ კვტ.სთ) მიღების გათვალისწინებით. დაუფარავი დეფიციტი მოსალოდნელია 2,7 მლრდ კვტ.სთ ოდენობით ანუ თითქმის 40%. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, მომხმარებლებთან მოსალოდნელი დეფიციტის გათვალისწინებით შეზღუდვების და გამორთვების გრაფიკების დასადგენად.

აგრეთვე რთული მდგომარეობაა სათბობით მომარაგების საქმეში. "თბილსრესის" საცავებში რეალურად მხოლოდ 23 ათასი ტონა მაზუთია. სულ აუცილებელის 1 ნოემბრისათვის დაგროვილ იქნეს 250 ათასი ტონა მაზუთი და გადახდილ იქნეს 450 მლნ კუბური მეტრი გაზის საფასური. როგორც ირკვევა ენერგოსისტემის მომზადება ზამთრის პირობების დასაძლევად მთლიანად დამოკიდებულია ფინანსებით მის უზრუნველყოფაზე.

პრეზიდენტის 1996 წლის 30 მაისის № 363 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, ივლისის მოსას. მარი ელექტროენერგიის ღირებულების საავანსო გადახდა ცენტრალიზებულ მომხმარებლებიდან მოახდინეს: საწარმოო გაერთიანება "აზოტმა", საქართველოს რკინიგზამ, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რუსთავის ცემენტის ქარხანამ და ხაშურის მინის ტარის ქარხანამ. ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვერ შეასრულეს: საწარმოო გაერთიანება "მადნეულმა" და საწარმოო გაერთიანება "ქიმბოჭკომ".

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით თავთავიანი კულტურები ქვეყანაში აღებულია 109 ათას ჰექტარზე. მათ შორის ხორბალი 82 ათას და ქერი 26 ათას ჰექტარზე. სულ მიღებულია 164 ათასი ტონა მარცვალი ე.ი, საშუალოდ ერთი ჰექტრიდან 15,1 ცენტნერი.

საგადასახადო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, 16 აგვისტოსათვის საგადასახადო ორგანოების მიერ ბიუჯეტში აკრეფილია 14 მლნ ლარის საგადასახადო შემოსავლები, რაც თითქმის 20 პროცენტით მეტია წინა თვის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 154 მილიონი ლარი, რაც 33 მილიონი ლარით, ანუ სამჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს.

თვის დასაწყისიდან საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებულია 150-ზე მეტი ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა სახის დარღვევების გამო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულმა თანხამ 2,1 მილიონი ლარი შეადგინა. მნიშვნელოვნად გააქტიურდა მუშაობა დამატებით დარიცხული თანხის ბიუჯეტში რეალურად ამოღების უზრუნველსაყოფად.

1-16 აგვისტოს საბაჟო ორგანოების მიერ ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე გადაირიცხა 3,4 მილნ. ლარი., რაც 326 ათასი ლარით ანუ 11,4 პროცენტით აღემატება წინა თვის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამოღებული თანხის 32 პროცენტი მოდის საბაჟო გადასახადზე. 42 პროცენტი – დამატებითი ღირებულების გადასახადზე და 20 პროცენტი ნავთობპროდუქტების ფიქსირებულ გადასახადზე. აქციზის სახით შემოსულია მხოლოდ 142 ათასი ლარი ანუ საერთო შემოსავლების 4,7 პროცენტი.

ხუთშაბათს გაიმართა ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების მორიგი აუქციონი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 6 ბანკი. გარიგებათა მოცულობამ 712 ათასი ლარი, საპროცენტო განაკვეთმა კი 15 % შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 312 ათასი ლარის, სახსრების განთავსება 1 კვირის ვადით მოხდა. ამ დღეს გამართულ საკრედიტო აუქციონზე, სადაც სახსრების განთავსება 1 თვით მოხდა, გარიგებათა მოცულობა 130 ათასი ლარით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 39%-ის განისაზღვრა.

ერთი სიტყვით, სიტუაცია დამაიმედებელია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ალბათ დროა გადამჭრელი ზომები მიიღოს აჭარისა და იმერეთის რეგიონებთან მიმართებით, თორემ უკვე ტრადიციად იქცა, რომ თითქმის ყველა რაიონში ნორმალური სიტუაციაა, აღნიშნულ ორში კი ყველაფერი ნელ-ნელა უკან მიდის.

შესაბამისი ორგანიზაციების მასალაზე დაყრდნობით ინფორმაცია მოამზადა ზია გიორგაძემ.

# მსოფლიო ეკონომიკა

## ადამიანთა დიდი ჯგუფი იყენებს მობილურ ტელეფონებს, მაგრამ მეცნიერები ჯანმრთელობის გარანტიას ვერავის პირდებიან

მობილური ტელეფონების გამოყენებით ადამიანთა ორგანიზმი იღებს დიდ ლაზიანებას. ტელეფონის ანტენით თავის არე ითვისებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს. მსგავსმა აზრმა დიდი შეშფოთება გამოიწვია მსოფლიოში და მრავალმა მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა, იმის გასარკვევად, თუ რამდენ სახიფათოა მობილური ტელეფონები ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

მეცნიერთა ყველაზე მცირე რაოდენობა თვლის, რომ მობილური ტელეფონები, რომელიც მაღალი დონისაა, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. არსებობს მეცნიერთა კატეგორია, რომელმაც თავი შეიკავეს რაიმე გადაწყვეტილი ზომების მიღებისაგან და ერთი სიტყვით რომ ვთქვა განზე გადგნენ. მეცნიერთა დიდი რაოდენობა თვლის, რომ მსგავსი აზრის არსებობა საფუძვლებს მოკლებული არ არის და ადამიანის ჯანმრთელობას რეალური საფრთხე ემუქრება.

ერთ-ერთმა ცნობილმა დანიელმა მეცნიერმა და მკვლევარმა განაცხადა, რომ ძნელია რომელიმე ფირმას დაუშალო ტელეფონების წარმოება, შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკის გაუმჯობესების მოთხოვნა. მსოფლიოს მოსახლეობის 25-35% იყენებს მობილურ ტელეფონებს, ეს ის მოსახლეობაა, რომელიც ძირითადად შეძლებულ და მაღალ ფენად მოიხსენება. იმის გამო, რომ რეალური შედეგები და მაგალითი არ არსებობდა, მობილის ტელეფონების უარყოფითი თვისების გამოვლენისა, მსოფლიომ ეს პრობლემა გარკვეულ პირთა ამბიციებად ჩათვალა და ეს საკითხი მიფუჩეჩებულ იქნა.

სულ რამდენიმე ხნის წინ ამერიკელმა და კანადელმა სპეციალისტებმა ხელახლა წამოაყენეს ეს საკითხი და მობილური ტელეფონის კიდევ რამდენიმე უარყოფით თვისებაზე გააკეთეს საკმაოდ არგუმენტიანი განცხადება. კომუნიკაციის მსგავს საშუალებას უარყოფითი გავლენა აქვს არა მხოლოდ თავზე, არამედ გულსა და ღვიძლზეც, და საბუთად მოიხმეს ახლო წარსულში ამერიკის უმაღლესი სასამართლოს თანამშრომლის მეუღლის გარდაცვალების შემთხვევა.

ექსპერტიზის დადგენილებით ქალი საკმაოდ ხშირად და ხანგრძლივი ვადით იყენებდა მობილურ ტელეფონს და ამან გამოიწვია თავის არეში ფარული და აბსოლუტურად შეუმჩნეველი სიმსივნის განვითარება, რომელმაც შემდგომ იმსხვერპლა კიდევაც ეს მანდილოსანი. მიუხედავად არსებული საშიშროებისა ქვეყნის მთავრობები გვერდს უვლიან ამ პრობლემის გადაჭრას, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მობილური ტელეფონები მიუხედავად ყველაფრისა სულ უფრო პოპულარული ხდება.

დანიელი მეცნიერის კჯელ პამსონ მალდის რჩევით უკეთესი იქნება თუ თითოეული ადამიანი თავს აარიდებს მობილური ტელეფონის გამოყენებას და თავს დაიზღვევს საშიშროებისაგან. თავის მხრივ კი დასძინა, რომ მეცნიერები შეეცდებიან უფრო საფუძვლიანი არგუმენტით დაასაბუთონ მობილური ტელეფონების უარყოფითი ეფექტი ადამიანის ორგანიზმზე.

**ლევან გაუტაშვილი.**



## ამერიკელი ინვესტორები საზღვრებს გარეთ

მსხვილი ამერიკული კომპანიები დაინტერესებული არიან საზღვრებს გარეთ დიდი საწარმოების დაარსებით, ამით ისინი შეძლებენ დაიპყრონ საზღვარგარეთის ბაზარი.

უკანასკნელი 10 წლის მონაცემებით დიდი რაოდენობით ინვესტიციები იქნება ჩადებული და დაბანდებული ამერიკის გარეთ მდებარე ქვეყნებში, შეიძლება ითქვას ნახევარი იმ ინვესტიციებისა, რომელიც თვით ქვეყანაში იქნება დაგროვილი. ამერიკული ინვესტიციები, ყველაზე მეტად ჭარბობს ბრაზილიაში. ამ ქვეყანაში დაგროვილი იქნება დაახლოებით 4 მილიარდი ამერიკული დოლარის საფასურის ინვესტიციები. ეს ციფრი ბუნებრივია არაზუსტია, მხოლოდ სავარაუდო რაოდენობაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ამერიკელი ბიზნესმენების მცდელობისა არაერთი მსხვილი საწარმოს პრივატიზება ჯერ არ გაკეთებულა. ევროპაში, ამერიკული ინვესტიციების დიდი რაოდენობა გროვდება შვეციაში. საგულისხმოა, რომ შვეცია, როგორც სკანდინავიის ერთ-ერთი ქვეყანა ყველაზე უფრო სასურველ საბაზრო ცენტრად მიიჩნიეს ამერიკელებმა. ამ ქვეყანაში ინვესტიციათა 9 მლრდ ამერიკული დოლარის რაოდენობა იქნა მოგროვილი. აღნიშნულ ინვესტიციების დიდი რაოდენობა იქნა ჩადებული მედიცინის დარგში მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიასა და "ოპჯონის" ფირმას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ყველაზე დიდი რაოდენობა ამერიკული ინვესტიციებისა დაგროვილ იქნა აზიაში. აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიის ყველა დარგი თანაბარ საბაზრო ურთიერთობაში იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უკანასკნელი მონაცემებით დაგროვილია 50 მლ-დან 97 მლნ-მდე ამერიკული დოლარის ინვესტიციები. ეს რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დაგროვილ ინვესტიციათა რაოდენობას.

ამერიკული კომპანიების საზღვარგარეთ ინვესტიციების დაბანდებას კომპანიის გამოკვლევით 1994 წ-თან შედარებით ინვესტიციების რაოდენობა 3-ჯერ უფრო მაღალი იყო 95 წ-ს, აზიაში ინვესტიციათა ციფრული რაოდენობა თითქმის 2/3-ჯერ გაიზარდა. ხოლო ლათინურ ამერიკაში კი თითქმის მესამედით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოწვეულია ამერიკელთა მისწრაფებით, რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით იქნას დაპყრობილი უცხოური მსხვილი ბაზარი.

როგორც ზემოთ აღნიშნული ციფრებიდან გამომდინარეობს ამერიკელთა მისწრაფება დიდია აზიის ბაზრისაკენ. ეს, ბუნებრივია, აზიის ქვეყანათა მსხვილ და მომგებიან ბაზარზე მეტყველებს. დიდ ყურადღებას იმსახურებს ბოლო დროს აზიის ქვეყნის მკვეთრი ნაბიჯი მსოფლიო ბაზარზე ჩაბმისა.

ამერიკელ ინვესტორთა დიდი რაოდენობით ინვესტიციები იქნება მოგროვილი საზღვრებს გარეთ, მით უფრო მეტი გასავალი ექნება მათ პროდუქციას და შესაბამისად გაძლიერდება მეწარმეთა ეკონომიკაც. ამით უნდა აიხსნას სწორედ ინვესტიციათა დიდი რაოდენობის საზღვრებს გარეთ გასვლა და დაგროვება.

**ლევან სანებლიძე**

## ვალუტის ოფიციალური კურსები
### (დსთ და ბალტიისპირეთი)

| სახელმწიფო | 1.დოლარი | ცვლილება | 1000 რუბლი | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი (მანათი) | 4290 | +5 | 840 | +10 |
| სომხეთი (დრამი) | 419,01 | +1,71 | 79,1 | -0,5 |
| ბელორუსია (ბელ. რუბლი) | 14100,0 | +590 | 2670 | +70 |
| საქართველო (ლარი) | 1,262 | +0,002 | 0,225 | -0,015 |
| ყაზახეთი (თენგე) | 67,35 | +0,1 | 13,6 | 0 |
| ყირგიზეთი (სომი) | 12,10 | -0,15 | 2,2934 | -0,0665 |
| ლატვია (ლატი) | 0,548 | +0,002 | 0,1056 | -0,0014 |
| ლიტვა (ლიტი) | 40 | 0 | 0,7571 | -0,0138 |
| მოლდოვა (ლეი) | 4,6035 | +0,0015 | 0,8695 | -0,0035 |
| რუსეთი (რუბლი) | 5285,0 | +88 | - | - |
| ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბლი) | 291,0 | -2 | 56,0 | 0 |
| თურქმენეთი (მანათი) | 4025 | 0 | 762,46 | -13,97 |
| უკრაინა (კარბოვანეცი) | 176100,0 | +100 | 33400 | -500 |
| უზბეკეთი (სუმი) | 39,0 | +1 | 7,4 | +0,08 |
| ესტონეთი (კრონი) | 11,9044 | +0,104 | - | - |

## მყარი ვალუტის კურსები:

| | ამშ | ინგლ. | შვეიც. | იაპონ. | იტალ. | გერმან. | ფრანგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფრანგული ფრანკი | 5,0865 | 7,8792 | 4,2135 | 4,7228 | 3,3513 | 3,4188 | – |
| გერმანული მარკა | 1,4878 | 2,3047 | 1,2324 | 1,3814 | 0,9803 | – | 0,2925 |
| იტალიური ლირა | 1517,8 | 2351,1 | 1257,2 | 1409 | – | 1020, | 298,39 |
| იაპონური იენა | 107,70 | 166,83 | 89,215 | – | 70,960 | 72,389 | [illegible] |
| შვეიცარული ფრანკი | 1,2072 | 1,8700 | – | 1,1209 | 0,7954 | 0,8116 | [illegible] |
| ინგლისური ფუნტი | 0,6455 | – | 0,5347 | 0,5994 | 0,4253 | 0,4339 | 0,1269 |
| ამშ დოლარი | – | 1,5490 | 0,8283 | 0,9285 | 0,6589 | 0,6721 | 0,1966 |

## ძირითადი საბირჟო საქონელი მსოფლიო ბაზარზე

| | |
|---|---|
| ოქრო ($/უნცია) | – 386,20 |
| ალუმინი ($/ტ) | – 1506,0 |
| თუჯი ($/ტ) | – 1955 |
| ნიკელი ($/ტ) | – 7070 |
| ნავთობი ($/ბარელი) | – 20,57 |
| ხორბალი (ინგ.ფუნტი/$) | – 110,0 |
| შაქარი ($/ტ) | – 373,0 |

## ინფლაცია სპეკულაციის მიზეზი ხდება

გასულ კვირას ვაჭრობა ამერიკული დოლარის მეშვეობით საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ტრეიდერები ელოდებოდნენ ინფორმაციას აშშ-ს ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, აგრეთვე უნდა გამოქვეყნებულიყო მეორე კვარტლის სრული მონაცემები და დასაქმების დონე მიმდინარე წლის ივლისში. განსაკუთრებული აქტიურობა შეინიშნებოდა იმ ოპერაციებში, სადაც ინგლისური ფუნტი და გერმანული მარკა მონაწილეობდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ ფუნტში 2,3115 მარკას იძლეოდნენ, თუმცა შუა კვირაში კურსი ოდნავ დაეცა – 1 ფუნტი 2,3050 მარკა. მსოფლიო ბირჟაზე დოლარის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აშშ-ს ეკონომიკური ზრდის შესახებ. აღმოჩნდა, რომ წლიური ანგარიშით ეკონომიკურმა ზრდამ 6,2% შეადგინა, აღსანიშნავია, რომ ეკონომისტები მხოლოდ 3,9%-ს ვარაუდობდნენ.

მეორე კვარტალში ინფლაციის დონე 1,8%-მდე შემცირდა, მაშინ , როცა იანვარ-მარტში 2,2%-ს შეადგენდა. მსოფლიოში ცნობილი სააგენტო " ბლუმბერგის" ექსპერტები აცხადებენ, რომ ეკონომიკური ზრდა ინფლაციის შემცირების ფონზე შესანიშნავი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, დოლარის კურსის გამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ ფაქტმაც, რომ ნიუ-იორკის ბირჟაზე გაიზარდა ამერიკული ფასიანი ქაღალდების კოტირება.

პარასკევს აზიის ბაზრებზე სხვა ვალუტასთან შედარებით შეინიშნებოდა აშშ დოლარის და იაპონური იენას კურსის ზრდა. მკითხველს ალბათ ახსოვს 1996 წლის ზამთრის პერიოდი, როცა აშშ დოლარის კურსი იაპონურ იენასთან მიმართებაში კატასტროფულად დაეცა, შემდეგ სიტუაცია რამდენადმე გაუმჯობესდა, თუმცა არა იმდენად, რომ აშშ-ს ცენტრალური სარეზერვო სისტემის (ცენტრალური ბანკის) მესვეურებს მშვიდად ძილის საბაბი ჰქონოდათ.

ამჟამად ერთ აშშ დოლარის საფასურად დაახლოებით 105,2-106,6 იენას იძლევიან, ექსპერტების ვარაუდით დოლარის კურსი დაეცემა და მიმავალ კვირაში 100,1-101,2 იენას შეადგენს.

ტრეიდერები ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს ცენტრალური ბანკები აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში დოლარის კურსი კატასტროფულ ზღვრამდე რომ არ დაეცეს, რადგან ეს მნიშვნელოვნად აზარალებს სხვადასხვა სახელმწიფოს ექსპორტიორებს.

ამის გაკეთება საკმაო ძალისხმევას მოითხოვს, რამეთუ ლიდერები მშვენივრად სარგებლობენ აშშ-ის ვალუტის ინფლაციით. სავალუტო სპეკულაცია ხომ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საქმეა.

**გვერდი მოამზადა**
**ზია აბულაძემ**

# კალეიდოსკოპი

## შვეიცარული საოცრება

ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საათების ჩაუთვლელად ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე სტანდარტულ ჯიბის საათს წარმოადგენს შვეიცარული "გრანდ



კომპლიკასიონი", რომლის ღირებულებაც 1987 წლის მარტში 210000 ფ. სტ-ად შეფასდა. საათის სავალი მექანიზმი 416 მიკრონაწილისაგან შედგება და თითოეული მათგანის დასამზადებლად 8-დან 12 თვემდეა საჭირო. "შვეიცარულ საოცრებას" გააჩნია მუდმივი კალენდარი, მთვარის ფაზების, საათის მეორთხედებისა და წამების აღმრიცხველი ისრები. მიუხედავად საათის ფასისა, მისი შეძენის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

## შხამიანი მედუზა

მსოფლიოში ყველაზე შხამიანი მედუზა არის – ლამაზი, მაგრამ მომაკვდინებელი ავსტრალიური ზღვის კრაზანა. კვინსლენდის სანაპიროს მახლობლად, 1880 წლიდან მოყოლებული, მისი შხამისაგან უკვე 66 ადამიანი დაიღუპა, სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის შემთხვევაში სიკვდილი 1-3 წუთის განმავლობაში იწყება. მედუზისაგან თავის დასაცავ ერთადერთ ეფექტურ საშუალებას – ქალის ჩვეულებრივი წინდები წარმოადგენს, ახლა აქაური სერფინგის მოყვარულნი ზღვაში სწორედ ამგვარად გამოწყობილნი შედიან.



## სასტუმროები

ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე სასტუმროების ქსელის მფლობელ კომპანიას "ჰოლიდეი ინი" წარმოადგენს. 1986 წელს მისმა საერთო შემოსავალმა 4,6 მლრდ დოლარი შეადგინა. დღესდღეობით კომპანიას 53 ქვეყანაში 1633 სასტუმრო (თითოეულში 316776 ოთახი) გააჩნია. პირველი "ჰოლიდეი ინი" გაიხსნა აშშ-ს ტენესის შტატის, ქალაქ მემფისში 1952 წელს. მისი დამაარსებელი იყო ჩარლზ კემონს უილსონი, ხოლო 1986 წლისათვის სასტუმროების ქსელი მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

## კოზა-ნოსტრა

ყველაზე მსხვილი დანაშაულებრივი ორგანიზაციის სინდიკატს – მაფია ანუ კოზა-ნოსტრა წარმოადგენს. მან დიდი ხანია შესძლო აშშ-ს საკანონმდებლო აღმასრულებელ და იურიდიულ ორგანოებში შეღწევა. ამჟამად მაფიის შემადგენლობაში შედის ერთიანი "კომიტეტის" თავმჯდომარეობით 25 "ოჯახად" დაყოფილი, 3000-დან 5000-მდე ადამიანი. აზარტული თამაშების, რეკეტის, პროსტიტუციის, ნარკოტიკების, თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ვაჭრობის ხარჯზე მაფიის წლიური ბრუნვა 200 მლრდ. დოლარამდე აღწევს. 1982 წლის მონაცემების საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მაფიის წლიურმა შემოსავალმა 75 მლრდ დოლარი შეადგინა, სიტყვა კოზა-ნოსტრა არაბული გამონათქვამია და ნიშნავს უპირატესობას და სილამაზეს სიმამაცესთან კავშირში.

## ყველაფრისმჭამელი

საფრანგეთის ქალაქ გრენობლის მკვიდრ მიშელ ლოლიტოს კუჭი, მეცნიერთათვის უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს. მას ჯერ კიდევ 9 წლის ასაკიდან "დასჩემდა" ლითონისა და შუშის ნივთების ყლაპვა. 1966 წლიდან მოყოლებული, მან შესძლო 10 ველოსიპედის, 7 ტელევიზორის, 6 შანდლის, სუპერმარკეტის ურიკისა და "სესნას" ფირმის მინის თეითმფრინავის მეჭეჭა. [illegible] მიშელის თქმით, მას სავსებით აკმაყოფილებს დღეში 900 გრ. მეტალით "პირის ჩატკბარუნება" და იგი თავს სრულიად ნორმალურად გრძნობს.

"ყველაფრისმჭამელი" ფრანგის მაგალითს, 19 წლის ამერიკელმა ჯეი გოულტნიმაც მიბაძა და 1980 წელს ჩიკაგოში გამართულ შეჯიბრებაზე 3,35 მ სიმაღლისა და 12 სმ დიამეტრის ცაცხვს 89 საათში მოუღო ბოლო.



## ხელებით მოსიარულე

ხელებით მოსიარულეთა შორის ნამდვილი რეკორდი 1960 წელს ავსტრიელმა იოჰან ჰუგერმა დაამყარა. მან ასეთი სახით პარიზიდან ვენამდე 1400 კმ დაფარა. იგი მოძრაობდა დღე-ღამეში 10 საათს და მთელ გზას 55 დღე მოანდომა. ავსტრიელი "მარათონელის" საშუალო სიჩქარე 2,54 კმ/სთ შეადგენდა. რეკორდსმენთა შორის, აღსანიშნავია მოკლე დისტანციაზე ხელებით მორბენალი კორეელი – შინ მოკი, რომელმაც იაპონიის ერთ-ერთ სპორტულ ცენტრში ხელებით 50 მეტრი 17.44 წამში გაირბინა.

# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 5. ქართველი კომპოზიტორი, რომელმაც 1927 წელს დაამთავრა პარიზის კონსერვატორია, მანამდე კი (1921-1926) იყო თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი. გარდაიცვალა 1977 წელს, ეარმაეაში; 8. მარცვლეულის ნაყოფიერების, მეწველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღვთაება; 10. მეცნიერება, რომელიც მოგვითხრობს გარდასულ ამბებს ბუნებასა და საზოგადოებაში; 12. კინოტექნიკაში ცალკე გამოსახულება, რომელიც მიიღება გადაღების დროს, კინოფირის ფოტოშრის უბანზე; 13. პიროვნება, რომელიც ხელს უწყობს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას; 14. ქალაქის ტიპის დასახლება; 15. პერსონაჟი ჭ. ამირეჯიბის ნაწარმოებიდან "დათა თუთაშხია"; 16. ქართველთა ქალღვთაება, ღვთაებათა დედა, მზის ერთ-ერთი უმთავრესი ჰიპოსტასი; 17. სიტყვის საყრდენი დაუშლელი ნაწილი; 18. რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში; 20. ქართული ესტრადისა და კინოს მსახიობი; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 24. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 26. გორის რაიონის სოფელი; 27. მძიმე, გარდამავალი პერიოდი, სახიფათო მერყევი მდგომარეობა; 28. ქართველი ხალხოსნების ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1881 წლის იანვრიდან 1883 წლის ივნისამდე; 30. ამანათის ან წერილის სწრაფი გზავნილება; 31. ყინულის წვეტი; 32. ქართული გაზეთი; 33. ქართული საბჭოთა ნევროპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე; 35. სამკურნალო მცენარე; 36. თანამედროვე ქართველი მწერალი; 38. ღვთაება ინდუიზმში, თაყვანს სცემენ როგორც ღმერთ ვიშნუს განსახიერებას; 39. თვითფრინავის, ავტომობილის ან სხვა ტრანსპორტის მობრუნება, მოხვევა, მოძრაობა შეკრულ მრუდზე; 40. სოფელი წალკის რაიონში ბედენის ქედის კალთაზე; 42. რთულ ყვავილოვანთა ოჯახის მცენარე, რომლის ზოგიერთ სახეობას საქონელი ეტანება;

**ვერტიკალურად:** 1. მწერი; 2. ფეხბურთელის მიერ ჩატარებული ცრუ მოძრაობა; 3. ამჟამად მოქმედი ქართველი მოკრივე; 4. პერსონაჟის სახელი ფილმიდან "ვინ არის დამნაშავე", ნ. ვაჩნაძის შესრულებით; 5. დაბა სამხრეთ საქართველოში; 6. ნატო ვაჩნაძის დაბადების ადგილი; 7. მცენარე, რომელსაც საყრდენის გარეშე დგომა არ შეუძლია, ბევრია კოლხეთის ტყეებში, სადაც ხშირად გაუვალ ბარდებს ქმნის; 9. მხატვრული ფილმის "ცისკარას" რეჟისორი; 11. ქალაქ ცხინვალის აღრინდელი სახელწოდება; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი, რომელმაც შექმნა არსენა ოძელაშვილის ძეგლი; 14. სოფელი მესტიის რაიონში, კოდორის ქედის კალთაზე; 15. კურორტი საქართველოში; 19. ქართველი პოეტი; 21. სოფელი ხონის რაიონში, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე; 23. საინფორმაციო პროგრამა "მოამბის" პოლიტიკური მიმომხილველი; 25. მსხვილი რქოსანი საქონლის ჯოგი; 27. მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი, ჩაისებრთა ოჯახისა; 29. გაზაფხულის ყვავილი; 34. სამკურნალო მცენარე; 37. შხამიანი გველების გვარი, ასპიტისებრთა ოჯახისა; 41. ფუტკრის "სახლი".

## გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1 პორტი. 7 კასიო. 9 საპორი. 10 გორილა. 13 ეთერი. 14 ათენი. 15 ალგორითმი. 17 სუველი. 19 კენედი. 21 ბუკია. 22 ომეგა. 24 სუეცი. 26 ლარნაკი. 28 აპრილი. 29 ანკარა. 30 აპატიტი. 31 პასივი. 33 ანემია. 35 რენუარი. 36 კრახი. 37 ანოდი. 39 მაცნე. 41 აბზაცი. 42 იადონი. 43 მანდარინი. 47 ძავრი. 49 მეტრო. 51 ნისანი. 52 ტვისტი. 53 აბატი. 54 ალამი.

**შვეულად:** 1 პელე. 2 ისლი. 3 სპორა. 4 გონიო. 5 აგატი. 6 დიოდი. 7 კალა. 8 ორბი. 11 თერგი. 12 მედეა. 16 რეკონსტრუქცია. 17 სირია. 18 ილემი. 19 კრეტა. 20 იალტა. 23 ალდაირი. 24 სიცილია. 25 ბრასი. 27 პარმა. 31 პრაღა. 32 ირანი. 33 აზოტი. 34 აბელი. 38 აზოვი. 40 ტორტი. 43 მარსი. 44 დანია. 45 რაიტი. 46 ირისი. 47 მოლა. 48 იონი. 49 მაია. 50 ოკეი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქცია" დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები.

დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს გთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე გრძელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.08.96 წ.



რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ. 99-93-07; 29-35-90,98-35-49.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია